ოთხშაბათი 16 მაისი 1907 წ.

# ისარი

ქოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 104

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

**მარია მაქსიმეს ასული იანქოშვილისა და შვილები ირაკლი, ვახტანგ, არჩილ და თამრო** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ და საყვარელ ქმრის და მამის მღვდლის

## დავით მათეს ძის იანქოშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, დილი 12 ს., საღამოთი 6½ ს. გამოსვენება ხუთშაბათს, 17 მაისს, დილის 10 საათზე, მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის (ავლაბარში) სახლიდან ამავე ეკკლესიაში. დაკრძალვა ამავე ეკკლესიის ეზოში 17 მაისს. (2—96—1)

**მაგდალინა მათეს ასული, ალექსანდრა სოლომონის ასული, ალექსანდრე სოლომონის ძე და ეკატერინე სოლომონის ასული იმერლიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ ძმის ხოლო დანარჩენ ძვირფას ბიძის

## მღვდ. დავით მათეს ძის იანქოშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე დილით 12 ს., საღამოთი 6½ ს. გამოსვენებენ ხუთშაბათს, 17 მაისს, დილის 10 საათზე, მთავარ ანგელოზის ეკკლესიის (ავლაბარში) სახლიდან ამავე ეკკლესიაში დაკრძალვა იმავე ეკკლესიის ეზოში 17 მაისს.

**ძნეინა ნატალია ალმიასხანის ასული ერისთავისა და ნინო კონსტანტინეს ასული ამილახვრისა** ვთხოვთ მათესავთა და ნაცნობთ მობძანდნენ ნახევარი წლის წირვაზე

## კნ. ელისაბედ სიმონის ასულის ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლად სოფ სვირში, საკუთარ ეკკლესიაზე, ხუთშაბათს, 17 მაისს, დილის 9 საათზე. (1—კვ.—1)

ოთხშაბათს, 16 მაისს, შუადღის 12 საათზე, დიდუბის სასაფლაოზე მოსკოვიდან მოსვენებულ ცხედრის

## კნ. სოფიო ვასილის ასულის ამირაჯიბის

საფლავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი; მოხდება აგრეთვე კურთხევა ძეგლისა, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ოჯახი და ძმა ოჯახობით. (2—93—2)

კვირას, 27 ამა მაისს.
მუშტაიდის ბაღში (მიხეილის ქ., იუნკრების სასწავლებლის პირდაპირ) გაიმართება

## სეირნობა და ლატარია-ალეგრი

წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობის დროს გამართული იქნება სხვა და სხვა გასართობი ბავშვებისა და დიდებისათვის (ლოტო, დოლი, ანკესი და სხვა), დაუკრავს ორი ორკესტრი და საზანდარი, იმღერებს ქართული ხორო.

**საზოგადოების კანცელარიაში მიიღება შემოწირული ნივთები ალეგრისათვის.**

სეირნობის გამგენი სთხოვენ „საზოგადოების“ აგენტებს, მიაწოდონ პროვინციიდან შემოწირულებანი. (8—3)

## იაფი ვაჭრობა ცოტა ხნით

## „პარიზის მაღაზია“

დამზადებულ საქონლისა

## ძმ. საფარიანცების და ტერ-საჰაკოვისა.

ფასები საქონელზე დანიშნულია იმდენი,

**რამდენიც ქარხანაში ღირს და იმაზე ნაკლებიც.**

ვთხოვთ ყველას დარწმუნდეს პირად და

## ფასები შეუვაჭრებლად.

(5—85—4)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**გაჩინა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**გ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
**ი. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—51)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, აკ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—106)

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—20)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—103)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**ვანქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდენკო** — შინაგანი სნეულობანი. კვირას 3—4 ს.
**იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხ., პარასკ. და სამშ. და კვირას 2—3 ს.
**გნუჩკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**როზმაინსკი**—სნეულებ., ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.
**ანზიმოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.
**ხოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.
**გორბალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 საათზე.
**ინაევი.** ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.
**თითრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველდღე 1—2 საათზე.
**ბოჟოვსკი** — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 საათზე.
**ექიმი ქალი იოსელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**გორობცოვა.**—მასაჟი, ყოველ დღე 11—5 ს.
**ნევშტორთვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 1—3 ს.
**პივარსკი**, **ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—90)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (35)

ექიმი
**კ. ი. გძელიშვილი**
იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—30)

ქ. ქუთაისში
**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**
იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—12)

**ქუთაისში**
ექიმი მაჭიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** სახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჰოსპიტალიდან. (60—ფოს.—7)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოება
(პუშკინის ქუჩა, № 3, საკრედიტო საზოგადოების სახლი)
**მასწავლებელი ქალები** აძლევენ გაკვეთილებს, ასწავლიან ყველა საგანს, ადგილობრივ და ტფილისს გარედ. (15 6)



## ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და ქალებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიათ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთ ნ.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია“ ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы. (50—73.—12)

**საარტისტო საზოგადოების თეატრი.**
ქართული წარმოდგენა
ოთხშაბათს, 16 მაისს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება ახალი პიესა

## სოფელი

პიესა ოთხ მოქ. სვ. ყიფიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ.ქ. ტ. აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, გამყრელიძე, იჯანიძე, **ნინო ჩხეიძე,** ბ.ბ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, იმედაშვილი, სვიმონიძე, კ. ყიფიანი, ჩარკვიანი, შათირიშვილი, რომანიშვილი, მატარაძე და სხ.
ფასები ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8½ საათზე.
(4—უ—3) რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

წ.-კითხვის საზოგ. და სხვა მაღაზიებში იყიდება ახალი გამოცემა მ. ჯანაშვილისა

## ნაშრომი

**1.** საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება“, 2. **ახალი ქართლის ცხოვრება** (გიორგი ბრწყინვალიდან გიორგი XI-მდე), 3. თვითონვე გვიწვევენ (შენიშვნები წერილის გამო „ქართული გრამატიკა მ. ჯანაშვილისა“.)

**ფასი ერთი აბაზი**

გამოცემის მთელი შემოსავალი, სამაღაზიო %-ს გარდა, გადაეცემა „ქართ. საქველმ. საზ. გამგეობას“ გაჭირვებულ მეგრელ გურულთა სასარგებლოდ.—იქვე და აგრეთვე ქუთაისში მაღაზია „კოლხიდაში“ იყიდება მ. ჯანაშვილის „საქართ. ისტორია“, „ქართ. გრამატიკა“ და სხვ. გამოცემანი.

**შეცდომის გასწორება.** წაიკითხეთ: „ნაშრომის“ გვ. 5—დაარსეს, 74—გაცოხნილ, 75—დაეჩნიათ, 80—travailleur, 83—წარსულის... მკრთალად. (10—უ.—9)

**ახალი წიგნი**

დაიბეჭდა და საადგილობრივ გადაეცემა „წ. კ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად
**ახალი ისტორიული მონოგრაფია**

## ამბოხება კახეთისა 1812 წ.

ა. ფრონელისა.

ვინც მოისურვებს წიგნის შეძენას, უნდა მიმართოს „წ. კ. საზოგადოების“ მაღაზიას. იგი ფას დადებით გაუგზავნის როგორც ამ წიგნს, ისე „მთიულეთს 1804 წ“ (10—უ.—8)



## სურდოს წინააღმდეგ

უნდა იხმაროთ **„ფორმანი“**, რომელსაც ექიმები საუკეთესო საშვალებად სთვლიან **სურდოს წინააღმდეგ.** საზღვარ გარედ სამი წელიწადია ხმარობენ და ემადლიერებიან. ყოველ წელიწადს ბევრ მილიონ კოლოფს ხმარობენ. ფორმანი მომზადებულია, როგორც ბამბა სურდოს წინააღმდეგ. ხმარება სულ უბრალოა. კოლოფის ფასი 25 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქისა და სააფთიაქო მაღაზიაში.
(3—№ 6—2) (Метцель и Ко 22087)

ტფილისი, 16 მაისი

მალე სამი თვე შეუსრულდება სახელმწიფო სათათბიროს, ხოლო რუსეთის კანონმდებლობას ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადუდგავს წინ. ხალხის წარმომადგენელნი მეცადინეობას არ აკლებენ, პირიქით აჭარბებენ კიდეც, მაგრამ მათს მოღვაწეობას მაინც არაფერი ნაყოფი არ გამოაქვს. მთელი ქვეყანა არსებითად ისევ იმ მდგომარეობაში იმყოფება, რომელშიაც სათათბიროს გახსნამდე იყო. არც ძველი რეჟიმის ლიკვიდაცია სწარმოებს, არც ახალი წესების დამყარება. პოლიტიკური მდგომარეობა ერთს წერტილზე გაიყინა, არც მარჯვნივ იხრება, არც მარცხნივ. სათათბიროს ტრიბუნიდან კი დაუშრეტლად გაისმის ხან ძლიერი და მრისხანე მოწოდება აღორძინებისადმი, ხან მკვეთრი და სასტიკი ხმა რეაქციისა.

სათათბიროს მოქმედებას ნაყოფიერი განვითარება არ ემჩნევა, ხალხის თვითშეგნება და ტვირთ მძიმე ცხოვრება კი დღითი დღე უფრო და უფრო ღრმად მიიწევს ხალხის ფართო წრეებისაკენ და ფარულად საშინელს კატასტროფას ამზადებს. თანამედროვე პოლიტიკურ მიმართულებათა მარჯვენა ფრთას რუსეთის პარლამენტი რევოლიუციის შესაჩერებლად უნდოდა გამოეყენებინა. ამის მაგიერ პარლამენტი აჩერებს მხოლოდ კანონმდებლობის განვითარებას, რევოლიუციის კი წინანდელზე უფრო ფართო სარბიელს უტოვებს. მემარცხენე ფრთას რუსეთის პარლამენტი რევოლიუციის რეგულიატორად ჰსურდა გადაექცია, მაგრამ ვერც ამან მიაღწია მიზანს. ხალხის პოლიტიკური მოძრაობა თავის გზით მიდის, პარლამენტის მჭერმეტყველობა კი იმის გარეშე რჩება.

საფრანგეთის ერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლეროა-ბოლიე, რომელმაც თითქმის ათი წლის წინ იწინასწარმეტყველა რუსეთ-იაპონიის ომი და რომელიც ეხლაც განცვიფრებით ადევნებს თვალყურს რუსეთს, ამბობს, კიდევ ოც წლამდე გაგრძელდება რუსეთის იმპერიაში სარევოლიუციო მოძრაობა. მართალია და, თუ რევოლიუციის ობიექტიური დასკვნა ისეთი წესწყობილების დამყარებაა, რომელიც უზრუნველჰყოფს კანონმდებლობის განვითარებას ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობის მომწიფებულ საჭიროების და სურვილის ხაზზე, უნდა დავეთანხმოთ საფრანგეთის ბურჟუაზიულ მწერალს, მასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ დიდი მანძილი აქვს გასავლელი რუსეთის მოძრაობას.

რაც უნდა გაძლიერებული სამხედრო წესები შემოიღონ, რუსეთის ცხოვრებას ნორმალურს კალაპოტში მაინც ვერ ჩააყენებს ისეთი ორგანიზაცია საკანონმდებლო და აღმასრულებელის ძალებისა, როდესაც ისინი ერთმანეთს კრიჭაში უდგანან ისე, რომ რასაც პირველი განიზრახავს, იმას მეორე აუცილებლად მტრულის თვალის უცქერის. თუ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ძალების უსოლიდარობა ყოველთვის საკანონმდებლო მუშაობის ტორმაზია, იგი ისეთს გარდამავალს ხანაში, რომელსაც ეხლა რუსეთი განიცდის, პირდაპირ შეუძლებლად ჰხდის თვით კანონმდებლობას. აქედან კი თავის თავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ განვითარება კანონმდებლობის გზით ვერ ივლის. რუსეთის ეხლანდელს პარლამენტზე ასეთი პესსიმისტური შეხედულება სრულიად ახალი არ არის მემარცხენე პარტიებისათვის; მათ ეს წინადვე კარგად იცოდნენ. საგულისხმო ეხლა ისაა, რომ ასეთივე პესსიმისტური დასკვა გამოუყვანია ბოლო დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. მას შემდეგ, რაკი საბოლოოდ გამოირკვა, საითკენ იწევს სათათბიროს უმრავლესობა მიწის საკითხში, მმართველობას საჭიროდ მიაჩნია პირდაპირ გამოაცხადოს: საკანონმდებლო ფორმებში ხალხისა და მთავრობის უთანხმოება ვერ გადასწყდება, მემარცხენე დეპუტატებმა სახელმწიფოს შერყევის გზით უნდა სცადონ თავის იდეალების განხორციელებაო. თვით დეპუტატები, რა თქმა უნდა, უძლურნი არიან, ისინი ვერც სახელმწიფოს შეარყევენ და ვერც არას სხვას, მაგრამ ის ურიცხვი ხალხი კი, რომელიც მის ზურგს უკან სდგას, ისეთი ძალაა, რომელსაც ლონე მარტო განყენებულ სახელმწიფოს შერყევისათვის არ შესწევს. ხალხის ძალა ყოველთვის სტიქიურად მოქმედებს, სტიქია კი განუზომელია; არავინ არ იცის, როდის

დაიქუხებს და რა მეხს გააგდებს. შიში და რიდი, დრტვინვა და ძრწოლა ჰმართებთ მათ, ვინც ხალხს გზას ულობავს და წინადვე, ვიდრე სტიქიურად აღელდებოდეს, ქედს არ იხრის მის წინაშე.

# ახალი ამბავი

✦ **დამშეულთა დახმარება.** 7 მაისს პეტერბურგში მომხდარა სხდომა მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთა დამხმარებელ ცენტრალურ კომიტეტისა. განუხალავთ საკითხი ამიერ-კავკასიაში დამშეულთა შემწეობის შესახებ. სხდომას „ზაკ.“-ს სიტყვით, დასწრებიან დეპუტატები შახტახტინსკი, ტერ-ავეტიქიანი, ათაბეგოვი და სილათელიანი. კამიტეტს საჭიროდ უცვნია, გადაეცეს ნამესტნიკს 140,000 მანეთი, იმ პირობით-კი, რომ დამშეულთა დახმარების საქმეში ადგილობრივმა ძალებმა მიიღონ მონაწილეობა. გაზეთი შენიშნავს: საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ ტფილ. და ქუთაისის გუბერნიების არც ერთი დეპუტატი არ დაესწრო კომისიის სხდომასაო.

✦ **გაფიცვა.** 14 მაისს გაიფიცნენ „გენეს“ ეფთიაქის მოსამსახურენი. მათ მოუთხოვნიათ ჯამაგირების მომატება და წელიწადში თითო თვით განთავისუფლება.

✦ **„მშაკი“.** გაზეთი „მშაკი“ დღესაც არ გამოსულა „გერმესის“ სტამბის დაკეტვის გამო. რადგან იმედი არ არის, რომ სტამბის პატრონი ახლო მომავალში მუშაობის განახლების ნება-რთვას მიიღებს, „მშაკის“ რედაქციამ გადასწყვიტა სხვა სტამბაში გადაიტანოს გაზეთი.

✦ **მკვლელობა.** 15 მაისს ღამე განოვის ქუჩაზე უცნობებმა რევოლვერით მოჰკლეს ვიღაც უცნობი კაცი. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს. ვინაობა მოკლულისა ვერ გაიგეთო.

✦ **უქვეშევრდომილესი გრძნობანი.** გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ დეპეშით სთხოვა ექსარხოს—გურია სამეგრელოს სამღვდელოების სახელით უქვეშევრდომილესი გრძნობანი გამოუცხადოს ხელმწიფე იმპერატორს, კეთილად გადარჩენისა გამო.

✦ **სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება.** 13 მაისს ტფ. საპჯოს დარბაზში, ექიმ ნავასარდიანის თავმჯდომარეობით, მოხდა წლიური კრება სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა. როგორც ანგარიშიდან სჩანს, 1906 წელს საზოგადოებას შემოსვლია 11,000 აქედან დაუხარჯავს სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაზარალებულ სომხების შესაწევრად 3035 მან. 62 კ.; ოსმალეთიდან გადმოხვეწილთა დასახმარებლად 3425 მან. გარდა ამისა 3625 მან. საზოგადოებას დაუხარჯავს უფასო სასადილოს შესანახად. კრებამ დაამტკიცა ანგარიში, აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა. არჩევანი მოხელე პირებისა გადაიდო 20 მაისისათვის.

✦ **გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან: ხუთი წლით ფარნაოზ კაციტაძე; სამი წლით: ნიკოლოოზ გზირიშვილი, ივანე ბიჭინაური, გიორგი რატიაშვილი, გიგლო ორუჯაშვილი, იოსებ გოგიძე, გიორგი ლაბაური და არ. პეტროსოვი. ტფ. სან.-გუბერნატოროდან ეტაფით იგზავნებიან: სერ. გუკასოვი, ა. არენიევი, ილია ყანჩაველი, ნიკ. რაფაელოვი, ნიკოლოოზ ნადირაშვილი, მიხ. ვასილიევი, ნიკოლოოზ თამარაძე, ფილიპე მელაშვილი, ილია მახარძე, იაგორ ჯენიაშვილი, ქიტეს ხუროშვილი, სამედ ალი-ოღლი და დურეუნ ისმაილ-ოღლი.

✦ **ქართული წარმოდგენა.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 16 მაისს, საარტისტო საზოგადოების თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება სვ. ყიფიანის ახალი პიესა „სოფელი“.

✦ **ტრამვაის ობერ-კონდუქტორის მოკვლა.** ბაქოში 12 მაისს საღამოთი მოუკლავთ ტრამვაის ობერ-კონდუქტორი. დეპეშის სიტყვით, მკვლელობის მიზეზი გაფიცულ ამხანაგების მიერ შურის ძიებაა.

✦ **მოხელეს მოკვლა.** 13 მაისს დღისით ბათუმში დონდუკოვ-კარსაკოვის ქუჩაზე, დეპეშის სიტყვით, მოჰკლეს სამსახურისა გამო ტფილისიდან ახლად ჩამოსული „ოხრანნი“ განყოფილების მოხელე. მკვლელნი მიიმალნენ,

✦ **სხდომა.** დღეს, 16 მაის, საღამოს 7 საათისთვის, ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სხდომა სხვა და სხვა ჯგუფების წარმომადგენელთაგან შემდგარ კომისიისა, რომელმაც უნდა გაარჩიოს საკითხი სახელოსნოებსა და სავაჭრო სახლებში დასვენება-მუშაობის შესახებ. კომისიაში მონაწილეობას მიიღებს 16 კაცი.

✦ **ლატარია ალეგრი.** „ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ სეირნობა და ლოტორეია-ალეგრი, როგორც ვწერდით, 27 მაისს გაიმართება მიხეილის ქუჩაზე „პალერმოს“ ბაღში, სხვათა შორის ლატარიაში ჩაგდებული იქნება საზოგადოებისათვის შეწირული 100 ოთხკუთხი საჟენი მიწა, რომელიც ვერაზე მდებარეობს და კარგი სამოსახლო ადგილია.

✦ **სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე.** ტფ. სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ასახელებენ ბ-ნ ფურცელაძე'ს და თავ. კ. აფხაზს. კრება ამ მაისში მოხდება.

✦ **თვითმკვლელობა.** სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ ფოთიდან. ამ დღეებში რაღაც, გამოურკვეველ მიზეზისა გამო, რიონში გადავარდნილან მასწავლებელი ქალები მატკავა და ქორქია. ორივე დამხრჩვალა. ქორქიას მამას ეს ამბავი ვერ აუტანია და თითონაც წყალში გადავარდნილა. ისიც დამხრჩვალა.

✦ **„ტიფ. ლისტოკი“.** „ტიფ. ლისტოკის“ რედაქტორი ხეჩატუროვი დასთანხმდა მუშებს სამედიატორო სამართალში გასვლაზე, ამიტომ სტამბის მომუშავეებმა განაახლეს მუშაობა. გაზეთი დღეიდან განახლდება.

✦ მოგვივიდა საუმაწვილო ჟურნალის ნაკადულის“ მე 96 ნომერი (მცირე წლოვანთათვის). შინაარსი: „თამაშობა“, ლექსი შიო მღვიმელისა; „მიტროს გაბედულება“, ეტიუდი ცქიტისა; „არაგვი“, ხალხური ზღაპარი; „ვირის თავ-გადასავალი“, თარგ. ნ. ყიფიანისა და ნარევი.

✦ 14 მაისს, საღამოს 9 საათზე, ავჭალის ქუჩაზე თავის სახლის შესავალთან გიდაცებმა რევოლვერით დასჭრეს ზ. მიხაილოვი.

✦ 12 მაისს ღამე ტფ. მცხოვრებმა დიმიტრი ზოზოვმა რევოლვერით დასჭრა რიყის ქუჩაზე ტრახტირის პატრონი ზაქარია ულუმბეკოვი. ზოზოვი დააპატიმრეს.

✦ 13 მაისს ელის.-ბედის ქუჩაზე პარიკმახერს ილიკო ხავთასის შეუვარდნენ ვიღაც კაცები. წაიღეს 100 მანეთის ნივთები.

✦ 14 მაისს რიყის ქუჩით მომავალ ვაგონიდან ჩამოვარდა და ძლიერ დაშავდა მოქალაქე გეურქ მოსესოვი.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ მოწინავე წერილში რამდენიმე კორრექტურული შეცდომაა; დაბეჭდილია: „ჰამბურგის იმპერიაში“, უნდა იყოს—ჰაბსბურგების იმპერიაში“; დაბეჭდილია: „განათლების გზაზე“, უნდა იყოს—განახლების გზაზე; დაბეჭდილია: „ეროვნულად ებრძოდნენ ერთმანეთს“, უნდა იყოს—ენერგიულად ებრძოდნენ ერთმანეთს, და სხვა წვრილმანი შეცდომებიც არის.

# ქუთაისის ქრონიკა

✦ პალატის სესიის სხდომამ ლეჩხუმის მაზრის სახელმწიფო დაწესებულებათა განადგურების შესახებ გასტანა 3 დღეს. პალატამ თავის განაჩენი გამოაცხადა 12 მაისს ღამე. ორს ჭიჭიკოასათიანს და ჩიკვაიძეს გადაუწყვიტეს უფლების ჩამორთმევა და ციმბირში გადასახლება. ახვლედიანს მიესაჯა საპყრობილე სამი წლით; ოთხი გამართლეს. დანარჩენებთაგანი ზოგი ერთი წლის და ზოგს ოთხი წლის საპყრობილე მიუსაჯეს.

✦ ადმინისტრაციის განკარგულებით, შეკეთებამდე დაიხურა თეთრი ხიდი.

✦ სოხუმის პოლიცმეისტერს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სატუსაღოს სივიწროვისა გამო ახალი სატუსაღო აშენდეს. გუბერნატორს შეუწყნარებია შუამდგომლობა და მოხსენება გაუგზავნია ნამესტნიკთან. მეორე თხოვნა სოხუმის პოლიცმეისტრისა, რომ ერთი ნაწილი ტუსაღებისა სხვაგან გადაიყვანონ, გუბერნატორს არ შეუწყნარებია, რადგან გუბერნიის ყველა საპატიმროში ტუსაღთა სიმრავლის გამო მეტის მეტი ვიწროობაა თურმე.

✦ ქუთაისში ხმა დადის, რომ გენ გუბერნატორის კანცელარიის გამგე, საკლებთ საკრებულოს წევრი ბიბიკოვი კანცელარიის გამგის ადგილს თავს ანებებს და ქუთაისიდან სხვაგან გადადისო. ამ ამბავს უკავშირებენ ამას წინად თსეცკის მოსვლას ქუთაისში.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ნოქრებს, შეიკრიბონ პროფესიონალურ კავშირის წესდების შესამუშავებლად. პირველი კრება მოხდა ქალაქის საბჭოს დარბაზში, მაგრამ იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ შეუძლებელი გახდა კრების გაგრძელება და გადაიდო 15 მაისისათვის.

# პრესსა

ამ რამდენისამე ხნის წინად, როდესაც გაზეთმა „დრომ“ გამოაქვეყნა, რომ პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა საბჭომ გადასწყვიტა, ყველა პარტიის წარმომადგენლები მოიწვიონ კონფერენციაზეო, ჩვენი გაზეთი ასეთ გარდაწყვეტილებას სიხარულით მიეგება. მაგრამ ს.-ც.-დემოკრატების გაზეთის „ლახვარი“-ს ფურცლებზე ბ-ნმა ი. ბ—ძემ ასეთის გადაწყვეტილების წინააღმდეგ გაილაშქრა და თავის პოზიციის განსამტკიცებლად მეტად უცნაურსა და ყალბ არგუმენტაციას მიმართა. ჩვენ აღვნიშნეთ ეს და, რამდენადაც შეგვეძლო, განვუმარტეთ მას, რომ პროფესიონალურ კავშირების მტკიცე უპარტიობის დასაცველად მცირე რიცხოვან პარტიებს მათ გვერდი არ უნდა აუქციონ მარტო იმიტომ, რომ ისინი მცირე რიცხოვანნი არიან. „არაო, გაიძახოდა მაშინ „ლამპარი“ს ბრძენი პუბლიცისტი, პროფესიონალურ კავშირების კონფერენციაში მარტო იმ პარტიის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, რომლებსაც ძალა აქვთ; ამისთანა პარტიები კი სოციალ-დემოკრატია და „დაშნაკცუტიუნი“-აო.

„ლახვარი“-ს მე 27-ე ნომერში კი ბ-ნი ლეო ამავე საკითხის შესახებ სრულიად სხვანაირად დაიმღერს. ბ-ნი ლეო იმ აზრისაა, რომ პროფესიონალური კავშირები მტკიცე ნეიტრალურ ნიადაგზე უნდა იდგნენ.

პროფესიონალურ კავშირს,—ამბობს ბ-ნი ლეო,—მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს რაიმე მნიშვნელობა, თუ იგი აერთებს ამა თუ იმ პროფესიის თუ ყველა მუშებს არა, უმეტესობას მაინც. მაშასადამე პროფ. კავშირის ჩარჩოები იმდენად ფართო უნდა იყოს, რომ შიგ ჩაეტიოს ყველა მუშები. პროფ. კავშირმა ისეთი მიზანი უნდა დაისახოს წინ, რომელიც ადვილი შესაგნებია ყველა მუშისთვის როგორც განვითარებული ისე განუვითარებლისთვისაც. ეს მიზანია—ცხოვრების პირობების გაუმჯობესება; რა სარწმუნოებისაც, რა ეროვნებისაც, (რა პოლიტიკურ რწმენისაც, დავუმატებთ ჩვენ) უნდა იყოს მუშა, რაც უნდა ცრუმორწმუნოებით იყოს იგი გონებადაბნელებული, რაც უნდა ველური პოლიტიკური იდეალი იყოს ჩანერგილი მის გულში,—ცხოვრების პირობების გაუმჯობესება მისთვისაც ისე საჭირო და სანატრელია, როგორც მოწინავე შეგნებულ მუშებისთვის.

მკითხველი აქედან ნათლად დაინახავს, რომ ბ-ნი ლეო სრულიად სხვა გვარ ნიადაგზე სდგას. მას არა სურს პროფესიონალური კავშირები „ვიწრო ჩარჩოში დასტოვოს“, ამასთანავე პროფ. კავშირების გავლენის მოპოვება ხალხზე, მცირე რიცხოვან პარტიის წევრთა ამ კავშირიდან განდევნით კი არ სურს, არამედ მათი პროფესიონალურ კავშირებში ჩარევით. რადგან დღეს მუშები უმეტეს შემთხვევაში პარტიების გარშემო გროვდებიან, ნაწილდებიან პარტიებად, და არა ეროვნებად, ყველა პარტიებთან თანასწორ დამოკიდებულების დაჭერა პროფესიონალურ კავშირების უმთავრეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

სოციალ-დემოკრატების გაზეთი გუშინ ი. ბ—ძეს პირით გვეკამათებოდა და ჩვენს აზრებს იწუნებდა, დღეს კი იგივე გაზეთი ბ-ნ ლეოს პირით იმასვე იმეორებს, რაც ჩვენ ამას წინად ბ-ნ ი. ბ—ძეს ვერ შევასმინეთ. დღეს უარყოფა იმისა, რაც გუშინ სთქვა, და დღეს თქმა იმისა, რაც გუშინ უარჰყო „ლახვარ“-ს, მგონია, ჩვეულებად გადაჰქცევია..

# პროვინციის ცხოვრება

**დ. ზუგდიდი.** აქამდის ჩვენ გვეგონა, რომ დამსჯელ რაზმების გზავნაში და ეკზეკუციების ჩაყენებაში წილი უდევთ მარტო ადმინისტრაციის მოხელეებს, რომელნიც მიმართავენ ხოლმე ასეთ უკიდურეს ზომებს ან გითომდა მშვიდობიანობის დასამყარებლად ან და გადასახადების ასაკრებად. ერთმა მცირე დოკუმენტმა, რომლის შინაარსი ქვევით მოგვყავს, დაგვარწმუნა, რომ ეკზეკუციის მოყვარულდთა შორის ყოფილან ისეთი მშვიდობიან თანამდებობის აღმასრულებელნი, როგორნიც არიან მომრიგებელნი შუამავალნი.

კახეთის საზოგადოების გლეხებს (ზუგდ. მაზ.) მიუმართავთ საგლეხო საკრებულოსათვის თუ გუბერნატორისათვის თხოვნით, რომ თ-დ მინგრელსკის გადასახადის შემთ-

# ფელეტონი

## სარევოლიუციო სინდიკალიზმის პრინციპები

ის, ვინც თვალ-ყურს ადევნებს დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობას, უეჭველად, შენიშნავს იმ მრავალ ნიშნოვან როლს, რომელსაც საფრანგეთის პროლეტარიატი თამაშობს ამ მოძრაობაში. საკმაოა გავიხსენოთ ყველაზედ უფრო დიადი და შესანიშნავი მომენტები საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიიდან, რომ დავრწმუნდეთ ჩვენის სიტყვების ჭეშმარიტებაში. საფრანგეთის პროლეტარიატი,—ამბობს კარლ მარქსი თავის შრომაში კლასთა ბრძოლის შესახებ საფრანგეთში:—იდგა და იდგება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სათავეშიო. მკითხველს თითონვე შეუძლიან დაასკვნას, თუ რამდენად მართალია ამ მეცნიერის და მუშათა მოძრაობის მცოდნის სიტყვები. ვფიქრობთ, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი ხელმძღვანელია სხვა ქვეყნების მშრომელ ხალხისა და ახლო მომავალში იგი დიდ როლს ითამაშებს კაცობრიობის საბოლოოდ განთავისუფლების საქმეში. ფრანგთა მაშვრალ ხალხის დღევანდელი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მან ნათლად შეიგნო მუშათა მოძრაობის ნამდვილი მიზანი და სწორ და შესაფერ გზაზე იწყო სიარული. მან მალე გაიგო ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა ძველის ინტერნაციონალის დიდებულ ფორმულისა: „მუშათა კლასის განთავისუფლება მუშების მიერ უნდა მოხდეს“, და დამოუკიდებელი მუშურ ორგანიზაციათა შექმნას მიჰყო ხელი და გადასწყვიტა საკუთარი ძალ ღონით ბრძოლა თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

საფრანგეთის პროლეტარიატმა შეჰქმნა ფრიად მაგარი და მტკიცე ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ, ერთის მხრით, უბრალო საშუალებას მშრომელ ხალხის ყოველდღიურ მოთხოვნილებათა განსახორციელებლად და, მეორეს მხრით,—საუკეთესო იარაღს კლასობრივ ბატონობის და ექსპლოატაციის მოსასპობად. ფრანგმა მუშებმა შეურიგებელი ომი გამოუცხადეს მთელ კაპიტალისტურ საზოგადოებას. ისინი წამ და უწუმ ამხადებენ მუშათა კლასის „ეჯანყებას“ ბურჟუაზიულ განწყობილების წინააღმდეგ და მით იძლევიან კლასთა ბრძოლის და მის ცხოვრებაში გატარების ბრწყინვალე მაგალითს.

ცნობილია, როგორ გოლიათურ ძალას წარმოადგენს ამ ჟამად საფრანგეთის პროლეტარიატი. წარსულ წელს, პირველ მაისის მანიფესტაციის დროს, მან დაანახა ქვეყნიერებას თავისი საშინელი და მრას ხანე ძალა, რომლის წინაშე შეკრთა და შეზრიალდა მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება. რესპუბლიკის მთავრობა ნათლად ხედავს ამას და ხმარობს ყოველგვარ ზომებს ორგანიზაციაში შესულ პროლეტარიატის მოძრაობის ჩასაქრობად; სხვაფრივ ჩვენ გაგვიჭირდებოდა აგვეხსნა მინისტრთა პრეზიდენტის კლემანსოს საქციელი 20 იანვარს, როდესაც მან თავი ისახელა სინდიკალისტების მიერ მოწყობილ მანიფესტაციის*) ჩაშლით და პარიზის შრომის ბირჟის დახურვით

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მაშვრალმა ხალხმა დაიწყო შეგნებული ბრძოლა არსებულ ბურჟუაზიულ დაწესებულებათა და სახელმწიფოს წინააღმდეგ. მიუხედავათ ამისა მან დიდი ნაყოფი მოუტანა საფრანგეთის მუშა ხალხს, როგორც მატერიალურ ცხოვრების პირობათა გაუმჯობესების მხრით, ისე თავის კლასიურ თვითშეგნების განვითარებაში.

ამ ბოლო დროს საფრანგეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურმა მოძრაობამ მიიპყრო ყველა განათლებულ ქვეყნის მუშათა ყურადღება. ევროპის ყველა კუთხეში და ჩვენშიაც, რუსეთსა და საქართველოში, მუშებმა დაიწყეს პროფესიონალურ კავშირების დაარსება და ბევრი მათგანი ხელმძღვანელობს ისეთისავე პრინციპებით და რევოლიუციონური ლოზუნგებით, როგორითაც საფრანგეთის პროლეტარიატი. სარევოლიუციო სინდიკალიზმი გამოდგა საუკეთესო იარაღად მშრომელი ხალხის ერთმანეთთან დასაახლოვებლად და მათ სოციალისტურ დროშის ქვეშ შესაერთებლად.

ამ წერილში ჩვენ ვეცდებით შეძლებისა დაგვარად გავაცნოთ მკითხველს სარევოლიუციო სინდიკალიზმის მთავარი პრინციპები. ჩვენის აზრით საფრანგეთის მუშათა პროფესიონალურ კავშირების ისტორიულ განვითარების მოკლე განხილვა ხელს შეგვიწყობს ამ საკითხის ნათლად და მკაფიოდ გამორკვევაში.

ჩვენი წერილის საგნის სავსებით გაცნობისათვის ძლიერ კარგი იქნებოდა დაწვრილებით მოგველაპარაკა საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირების აღმოცენების და მათ განვითარების ისტორიაზედ; მაგრამ გარემოება ნებას არ გვაძლევს სისრულეში მოვიყვანოთ ეს განზრახვა ვეცდებით გავაცნოთ მკითხველს მხოლოდ ერთი ეპოქა საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ისტორიისა, რომელიც შეიცავს ძლიერ მოკლე ხანას: 1870 წლიდან მოკიდებული დღევანდელ დრომდეა; სამაგიეროდ ამ ეპოქის შესწავლა და გათვალისწინება ფრიად საინტერესოა იმისთვის, ვისაც საზოგადოდ მუშათა მოძრაობა აინტერესებს და განსაკუთრებით კი ვისაც სურს საფრანგეთის სინდიკალიზმის ხასიათის გაცნობა.

ყველა იმ პერიპეტის გათვალისწინება, რომელიც განვლეს მუშათა პროფესიონალურმა კავშირებმა ამ მოკლე დროის განმავლობაში, საჭიროდ არ მიგვაჩნია ამ შემთხვევაში. ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ მხოლოდ ყველაზედ უფრო დიდი და შესანიშნავი მომენტები საფრანგეთის მუშათა პროფესიონალურ კავშირების განვითარების ისტორიიდან და შევჩერდეთ მათზე იმდენად, რამდენადაც მათ რაიმე მნიშვნელობა აქვთ ჩვენი წერილის ნამდვილ საგნის გამოსარკვევად. ამ მცირე, მაგრამ აუცილებელ შენიშვნის შემდეგ შეუდგებით სინდიკალიზმის სამ უმთავრეს ფაზისის გათვალისწინებას და მათ შინაგან ხასიათის ცალ-ცალკე შესწავლას. ეს ფაზისები არის: 1. ვიწრო კორპორატიზმის ხანა, რომლის განმავლობაშიაც მუშათა კავშირები წარმოადგენდნენ კარჩაკეტილ პროფესიონალურ ორგანიზაციებს; 2. მუშათა ორგანიზაციების კავშირი სოციალისტურ პარტიებთან. 3 სინდიკალურ ორგანიზაციების ჩამოშორება სოციალისტურ პარტიებისაგან.

აქ ჩვენ თავს ნებას მივსცემთ ერთ ძლიერ საყურადღებო გარემოებას მივაქციოთ მკითხველის ყურადღება, რომელიც ნათლად გვიხატავს საფრანგეთის მუშათა ხალხის ერთ განსაკუთრებულ ფსიხოლოგიურ თვისებას; იგი შესდგება მუშების მიერ თავისებურ შეხედულებაში ინტელიგენციის როლის და მნიშვნელობის შესახებ მუშათა მოძრაობაში. იმათის შეხედულების თანახმად, შრომის მხრით საზოგადოება ორ სხვა და სხვა კატეგორიად იყოფა ხოლმე. ერთ მხარეზედ არიან ისინი, რომელნიც განსაკუთრებით ფიზიკურ შრომას ეწევიან, მეორე მხარეზე გონებრივ შრომით მცხოვრებნი. ძნელი არ იქნება შრომის ამგვარ განსაზღვრის სიყალბის გამომჟღავნება, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს ის, თუ რამდენად მართალია ან რა არის მართალი ფიზიკურ და არა ფიზიკურ შრომის ცნებათა ლოღიკური განსაზღვრა ფრანგ მუშების მიერ. ჩვენთვის მხოლოდ იმის ცოდნაა საჭირო, თუ რამ აიძულათ ეს უკანასკნელნი, რომ მიჰმართეს შრომის ამგვარ კლასიფიკაციას. ამის უმთავრეს მიზეზად, ჩვენის აზრით, უნდა ჩაითვალოს ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომის გამწევ ადამიანთა ურთი ერთ განწყობილების გამორკვევა. შემდეგში ჩვენ უფრო ვრცლად შევჩერდებით ამ საკითხზე, როდესაც საფრანგეთის სინდიკალისტთა და სოციალისტურ პარტიათ ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ გვექნება ლაპარაკი. საზოგადო-

*) 20 იანვრის მანიფესტაციის მიზანი იყო საკვირაო დასვენების განხორციელება საფრანგეთის ყველა კუთხეში.

ტანა არ ძალ-უძს და ეგზეკუციით სულს ნუ ამოგვხდითო. ამის შემდეგ საგლეხო საკრებულო შეეკითხებია ზუგდიდის მაზრის მომრიგებელ შუამავალს თავად ერისთავს, რომელსაც შემდეგი მოუწერია საგლეხო საკრებულოსთვის:

„ზატივი მაქვს მოგახსენოთ ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოს, რომ: 1. კახათის საზოგადოების ადგილები, როგორც ყოველთვის, ნოყიერებით საუკეთესო თვისებისაა და, გარდა ამისა, გადასახადის მიტანა ზუგდიდში კარგის გზის გამო გაადვილებულია და 2) რაც მომრიგებელ შუამავლად ვიმყოფები*), მე არა ერთხელ ჩავაგონე პირადად კახათის საზოგადოების გლეხებს, რომ სანადელო გადასახადი ნებაყოფლობით ჩააბარონ თ-დ მინგრელსკის, მივმართე ძალდატანებით ზომებსაც სოფლისა და მაზრის პოლიციის საშუალებით, მაგრამ არაფერი გამოვიდა, რაშიაც დავრწმუნებთ თავად მინგრელსკის ვექილს კანკიას მიერ წარმოდგენილი ცნობებით თავად მინგრელსკის 1904, 1005 და 1906 წლებისა ერგებოდა სიმინდად 15.630½ ფუთი და ფულად 1261 მ. 50 კ. მემამულემ დეკემბრამდის მიიღო, ისიც ეგზეკუციის შიშის გამო, მხოლოდ ფულად 326 მ. 75 კ. და სიმინდად 4845 ფუთი. 7 დეკემბრიდან (თვით ქაღალდი დაწერილია 23 დეკემბერს) აქამდის აღარაფერი შემოსულა. ყველა ზემოხსენებულმა იმ რწმენამდე მიმიყვანა, რომ კახათის საზოგადოების გლეხნი **ამა თუ იმ მიზეზით აშკარად ერიდებიან სანადელო გადასახადის ზღვას**; არც იმედია, რომ მათ ნებაყოფლობით დააკმაყოფილონ მემამულე და ამიტომ, ჩემის აზრით, **მათი თხოვნა შეუწყნარებელია.**“

აქ მოყვანილი „მოხსენება“, რომ გადავქართულოთ, გამოვა, რომ თ-დ ერისთავს ყველა ზომებისთვის მიუმართავს გადასახადის ასაკრეფად და რადგან ამ ზომებს ვერ გაუჭრია და სამი წლის გადასახადი ერთ წელიწადში ვერ უზღვიათ გლეხებს, მისის აზრით ეგზეკუციაა ერთად ერთი საშუალება გლეხთა მოსარჯულებლად.

თ-დ ერისთავს უნდა სცოდნოდა, რომ სიმინდის მოსავალი შარშან სამეგრელოში მცირე იყო და თუ ამ პირობებში გლეხებმა სამი წლის გადასახადში თითქმის მესამედი გაისტუმრეს, ეს მათთვის დიდად სამძიმო იყო, და რატომ არ ინება მთავრობისათვის შეეტყობინებინა საქმის ნამდვილი ვითარება? ნუ თუ თ-დ ერისთავს ჰგონია, რომ ეგზეკუციით ხალხში ნდობასა და სიყვარულს მოიხვეჭს?! თუ მთავრობისათვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ სრული თანხმა ვარ თქვენგან დაწესებულ რეპრესიებისა და მზად ვარ ამ გზით გემსახუროთო!?

---

*) თ-დი ერისთავი მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა გენერალ ალიხანოვის დროს.

**სურამი**. გაზაფხული გავიდა კიდეც, მაგრამ ხალხს ჯერედ არ უგრძნია გამაცოცხლებელი ძალა გაღვიძებულ ბუნებისა. მთელი არე-მარე მწუხარებითა და ღრმა ნაღველით არის შებურვილი. ხალხს არ დასცალდა ჯერ განმათავისუფლებელ მოძრაობის დიდი სიმძიმე შეემსუბუქებინა, და აგერ ყველას თვალწინ გადაეშალა საზარელი სურათი მოსალოდნელ შიმშილობისა. უწვიმობა, სიცხე—გვალვა,—აი რა აგერია ყველას პირზე, რა გამხდარა აქ ლაპარაკის საგნად. თითქმის მთელს ქართლს არ ღირსებია ამ გაზაფხულს წვიმა და ყოველ მხრიდან საშინელი ხმები მოდის. გლეხი ამ დროს გულ-ხელ დაკრებილი ზის და მწარე უნუგეშობისთვის მიუცია თავი. ან კი რა აქვს სასიხარულო? რომელმაც საქმე გაიჭირა და გუთანი გაიტანა მოსახნავად, ან გუთანი გაუტეხა. ან არა და გამხმარ და დაყინებულ სიცხისგან ღრმად დამსკდარ მიწებს გუთანი ვერ მიუყენია.

იმედ-დაკარგული ხალხი მაინც სცდილობდა შეუძლებელი მოეხერხებინა და ღვთის ვედრებით წვიმა მოეყვანა, ყოველ-დღე სოფელ-სოფელ დაიარებოდნენ ქალები „დიდებაზე“ და მწარედ მოსთქვამდნენ ხატებით ხელში.

ნუ დაღუპავ ქვეყანასა,
ღმერთო გვიშველე!

აჰაო იყო ვედრება მათი. გვალვა მატულობდა. ბუნება გაქვავებულიყო. ამოსულ ჯეჯილის ყვითელი ფერი ედება და არე-მარე რადაც უძრავ ლეშის სახეს იღებს.

ამას წინად, როგორც ვიცით, სურამში მოჰკლეს ილიკო ბლიაძე. ამ მკვლელობის გამო ამ დღეებში გვეწვია მაზრის უფროსი ბაქრაძე და გამოაცხადა: ან მკვლელი მოგვეცით ხელში, ან ორ კვირაზე 3,000 მანეთი ჯარიმა გადაიხადეთო. მოკლულს სახლი და კარი დარჩა, ხოლო ცოლშვილი არა ჰყოლია და ამიტომ, ალბად, ეს ფული ხაზინაში შევა. ამ ნაირის ჯარიმებით გამოკეთდება თუ არა გაჭირვებულ ხაზინის საქმეები,—ეს ადვილი გამოსაცნობია, ხოლო ხალხმა რომელი წყაროდან გადიხადოს ეს ჯარიმა ასეთ უბედურ და დანავსულ დროში, ეს კი ადაჭმა უწყის! **რ. ბ—ლი**

**ზესტაფონი**. ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ცნობებს, როგორც სჩანს, ყურადღება მიაქცია შორაპნის მაზრის უფროსმა მანსვეტოვმა და გამოძიება დანიშნა თავის მოხელეების მოქმედების შესახებ. აქ ხმაა გავრცელებული, რომ გამოძიებამ მრავალი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა, ისეთ მოხელეებისა, როგორნიც არიან სოკრატ აბაშიძე, კოლია ნევსაძე და სხვანი. ამ ვაჟბატონებს, როგორც გამოძიებას აღმოუჩენია, ხალხში ფულის ასაკრეფად თავიანთი აგენტები ჰყოლიათ, რომელნიც ატყუებდნენ თურმე ხალხს, რომ რეპრესიებსა და ეგზეკუციებს აგაცდენთ, თუ ამდენსა და ამდენ ფულს შეჰკრებთო. ერთ ამ გვარ აგენტს, სახელდობრ სამ. ჟღენტს, როგორც უკვე იყო მოხსენებული, კლდეეთის საზოგადოებაში მოუკრებია 800 მანეთამდე და ხალხისთვის აღუთქვამს, რომ ეგზეკუციას აგაცდენთო.

ვნახოთ, მაზრის უფროსი მიიყვანს თუ არა ბოლომდის დაწყებულ საქმეს.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული ოპერა ქუთაისში**. პირველად დადგმულმა ოპერამ ქუთაისში „სევილიელმა დალაქმა“ სავსებით ვერ დაგვაკმაყოფილა. პასუხის საგებელი როლი ალმავივასი მიეცათ სრულებით გამოუცდელ მომღერალისათვის—იგი არ შეეფერებოდა თავის როლს არც გარეგნობით და არც ხმით და არც ჩაცმულობით. ქ-ნ ძნელაძისას დღესაც არ დაუკარგავს ხმის სინაზე და მიმზიდველობა, მაგრამ დროს წყალობით ისეთი შესაფერი აღარ არის როზინას როლისათვის. ბარტოლოს როლის აღმასრულებელიც ვერ იყო თავის ადგილზე. ბ-ნთ ცხომელიძემ და ივანიშვილმა შეიტანეს სიცოცხლის ნიშან წყალი ოპერაში. ორივემ ასიამოვნა საზოგადოება როგორც სიმღერით, ისე თამაშით.

ხოროსა და ორკესტრზე ბევრს არას ვიტყვით, რადგან მათ ისეთი მცირე დრო ჰქონდათ მიცემული მომზადებისათვის, რომ ისიც ბევრი იყო, რაც მოახერხეს.

ოპერის გამგეთ ადგილების ფასები აეწიათ და ხალხი ნაკლებად დაესწრო. ხალხის დაუსწრებლობას გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ამავე საღამოს კლუბში სამეურნეო სკოლის საავადმყოფოს სასარგებლოდ საღამო იყო გამართული და ერთი ნაწილი საზოგადოებისა იქ იყო.

გვახსოვს პირველად დადგმული ოპერა ქართულს ენაზე ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრში—დამსწრე საზოგადოება აღტაცებული იყო ჯერ ამ ფაქტით და მერე იმით, რომ უმთავრეს როლის აღმასრულებელნი თავ-თავიანთ ადგილას იყვნენ და ორკესტრიც შესაფერი იყო. ამ გვარადვე უნდა მოქცეულიყვნენ ქუთაისშიაც, რომ საზოგადოება შესჩვეოდა ახალ დარგს ხელოვნებისას.

20 მაისისთვის ტ. აბაშიძის, ვ აბაშიძის, გედევანოვის და შათირიშვილის მონაწილეობით გვპირდებიან ოპერეტა „ნატვრის თვალს“.

## ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდა“-ს როლი იმერეთის სამრეწველო მეურნეობაში.

უეჭველია, არა ერთხელ გაგიგონია, მკითხველო, სახელწოდება „კოლხიდა“ არა ერთხელ და ორჯელ წაგიკითხავს გაზეთებში იმის შესახებ ცნობები, მაგრამ მაინც, დარწმუნებული ვარ, რომ „კოლხიდა“-ს სამოქმედო როლი ყველას ნათლად არა აქვს წარმოდგენილი. ამიტომ ნურავინ დაგვაყვედრის, თუ დღევანდელ განმათავისუფლებელ საკითხებით გატაცების დროს ხსენებულ ამხანაგობის გათვალისწინებაზე მივაპყრობ გაზეთის მკითხველის ყურადღებას.

„კოლხიდა“-თი ისტორიაში ცნობილია ქვედა იმერეთის ერთი საუკეთესო ნაწილი, სახელდობრ, სამეგრელო. „კოლხიდა“-ს ხშირად იხსენიებენ ჩვენი და უცხო ქვეყნის ისტორიკოსნი თავიანთ ნაწერებში, როგორც ერთი საუკეთესო სავაჭრო-სამრეწველოს, კულტურულ მხარეს მთელ კავკასიაში. დღესაც შენარჩუნებული აქვს ამ სახელწოდების შინაარსი და მართლაც ვაჭრობა-მრეწველობის და, საზოგადოდ, სამეურნეო კულტურის განვითარებით იმერეთს უპირველესი ადგილი უჭირავს კავკასიაში. დღეს იგი ამ ისტორიულად აჩემებულ შინაარსს ავითარებს, აფართოვებს და უნდა აქ პირველობა შეინარჩუნოს. ამ მხრით წინმსვლელობის გვარიანი მანძილი ექნებოდა განვლილი, რომ განვითარებისათვის საჭირო ხელის შემწყობი პოლიტიკა მოქმედებდეს ჩვენში და არა ხალხის ნიჭიერების გამოჩენას წინ არ ეღობებოდეს. მკვიდრს უნდა ამ ძველ სახელს ახალი შინაარსი, საამღროვო ნაყოფიერება-სარგებლობის სახე მისცეს, რაკი ჰხედავს, რომ არსებისათვის ბრძოლაში უამისობა შეუძლებელია. მართალია, იგი ამ ახალ ასპარეზზე ისეთის მსწრაფლის ნაბიჯით ვერ მიდის, როგორც ამას ეწევიან უცხო ქვეყნის დაწინაურებული ერები, მაგრამ იმერნი მით არიან ნაქებნი, რომ ახალ ცხოვრებას, იმის მოძრაობას და სულის კვეთებას ყველაზე ადრე აუღებენ ხოლმე ალღოს და მის შეგნება-შეთვისებას ესწრაფიან. ასეთია სანაქებო მიდრეკილება ხასიათი „კოლხიდის“ შვილთა.

დღეს „კოლხიდის“ სახელწოდებით იმერეთის დედა ქალაქ ქუთაისში არსებობს სამრეწველო მეურნეობის ხელის შემწყობი დაწესებულება, სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“, რომლის მიზანია: შეიტანოს წეს-რიგი სასოფლო-სამრეწველო მეურნეობაში, ხელი შეუწყოს სამრეწველო მეურნეობის კულტურულ ნიადაგზე დამყარებას, ჩამოაცალოს მას უმთავრეს დარგებს: მეაბრეშუმეობას, მებამბეობას, მევენახეობას და სხვას ის ჩარჩული სახე, რომელიც მშრომელ ხალხის ცარცვაგლეჯაზე და მისის ნაშრომით ოთხოლ-ოროლა კერძო ვაჭრის ჯიბეების გასქელებაზეა დამყარებული.

დიდი ხანი არ არის, რაც ეს ამხანაგობა არსებობს ქუთაისში. იგი აღმოცენებულია ერთ დაახლოებით ამგვარსავე ამხანაგობის ნაშთებზე. ამ უკანასკნელის საფუძვლის ჩამყრელი კი იყო იმერეთში ამხანაგობათა იდეით გატაცებული ცნობილი და აწ განსვენებული ნესტორ წერეთელი, „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის“ დამაარსებელი ს. კუხში და მისი მაგალითის მიმდევარი ქუთათური ვაჭარი არ. ანჯაფარიძე, დღეს უკვალოდ გადაკარგული.

აი ამ უკანასკნელმა, კერძო თუ საზოგადო ინტერესით ამოძრავებულმა—დღესაც გამოურკვეველია ეს—შეადგინა ქუთაისში „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისებური“ ამხანაგობა აქაურ ვაჭრების და ინტელიგენტებისაგან. ერთ-ორ წელიწადს ახალის საქმით წახალისებული მეთაურნი თითქოს რაღაცას აკეთებდნენ: პარკს ყიდულობდნენ, ახმობდნენ და ძაფებად ამოჰყავდათ, ამ ძაფებით ქსოვილებიც გააკეთეს ამ საქმეში გაწაფულმა ქალებმა. ამხანაგობამ ბამბის ყიდვაც დაიწყო და სწორედ ამ დროს მათ საერთო საქმეს შავმა კატამ გაურბინა, მეთაურთა საქმეებს მეორე მოწინააღმდეგე ქუთათურმა საქმის კაცებმა ხლის ფათური დაუწყეს, იგი ურთ-ერთის კერძო საბრძოლველ იარაღად გაჰხადეს და ბოლოს საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ ჟანდარმთა უწყებას აღარ დასჯერდნენ და ოლქის სასამართლოს მსჯავრს მიმართეს. ხომ მოგეხსენებათ, ცოცხალი სავაჭრო საქმე რომ ბიუროკრატიულ სამსჯავროში თავს ამოჰყოფს, უნდა გამოეთხოვო, საქმე სახეიროდ აღარ დაბოლავდება. ამიტომაც მეთაურებმა ლიკვიდაცია არჩიეს და მოსპეს კიდეც მისი ხსენება, რასაც თან გაჰყვა ამ საქმის პირვანდელი გამომწყები.

ხოლო ძველმა მისმა მეთაურებმა თავიანთ საქმის აღსადგენად, მეორე წელიწადს ძველის ნანგრევებზე ახალ ამხანაგობის შედგენა განიზრახეს და, მართლაც, 1901 წელს ვხედავთ წესდება დამტკიცებულს ახალ ამხანაგობას „კოლხიდა“-ს. ბევრი დავიდარაბა და ლანძღვაგინება გამოსცადეს ძველ ამხანაგობის აწეწილ-დაწეწილ საქმეების მოსპობაში და ახალის მოგვარებაში ნამეტნავად მოხუცთ კირილე ლორთქიფანიძემ და პავლე თუმანიშვილმა და ბოლოს ჩინოვნიკურ კლანჭებს თავ-დახწეულებმა გადასცეს იგი ახალ სახელწოდებით მონათლული ახალგაზდა გამგე-პატრონებს, რომელთა ხუთი წლის ნამოქმედარი აი როგორაა დახასიათებული ამ წლის „საგლეხო კალენდრის“ სამეურნეო განყოფილებაში:

„კოლხიდა“ არსებობს 1900 წლიდან. ჰყავს 170-მდე წევრი. პაი ღირს 10 მან. და მისადები 1 მან. პაის შეძენა შეუძლია, ვისაც რამდენი სურს. თავის ექვსი წლის არსებობის ხანაში ამხანაგობას შეძენილი და მოწყობილი აქვს: 1. ბალახვანში 3000 ოთხკუთხ საჟენიანი, 10.000 მან. ღირებული საბაღე, დამუშავებული მამული, რომელზედაც გამართული აქვს 2500 ფუთამდი დამტევი პარკის სახმობი ფარდული, საკანტორო შენობით.

2. იქვე გამართულია საცდელი მინდორი ვენახის, ხეხილის, მინდვრის, საბაღე თესლეულის და ბოსტნეულობისათვის.

3. ამხანაგობას შეძენილი აქვს ლოკომობილი (მაშინების ასამოძრავებელი ძალა) და ბამბის სარჩევი 6000 მან. ღირებული მაშინები, რომლებისათვისაც ბამბის ფარდული აქვს გამართული. ამ ქარხანაში ყოველ წელიწადს მუშავდება 8.000—15.000 ფუთამდე ბამბა, ხოლო პარკის ფარდულში ხმება 2.500 ფუთი პარკი. აქ ყოველ სეზონში მუშაობს 20—60 მუშა ქალ-ვაჟი მახლობელ ღარიბ მცხოვრებლებისაგან. ამ ორგვარ საქონლისათვის [illegible] სამოც ათას მანეთამდე ამხანაგობა [illegible] ლობს ხან ქუთაისშივე [illegible] და ხან ბათუმში [illegible] კებიდან, რომელთაც უგირავებს დამუშავებულ საქონელს გაყიდვამდე. ამ ორგვარ საქონელს ამხანაგობა ჰყიდის: ბამბას-მოსკოვსა და ლოძში, ხოლო პარკს ჰგზავნის საზღვარ გარედ, მარსელსა და ლიონში. ამ და სხვა ოპერაციებიდან რჩება ამხანაგობას ის მოგება—წელიწადში პაიზე ორიდან ოთხ მანეთ ნახევარი, რომელსაც იგი წევრებს ურიგებს.ან იძენს ქონებას და საჭირო ინვენტარს.

4. ამხანაგობას აქვს სავაჭრო კანტორა, სადაც მოთავსებულია მისივე გამგეობა, (რომელსაც შეადგენს თავმჯდომარე, გამგე დირექტორი და გამგეობის სამი წევრი). *)

5. ამხანაგობასვე აქვს ტფილისის ქ. ღვინის სარდაფი, სადაც ინახება კახელ-მევენახეთა საზოგადოების „კახეთიას“ ღვინო; ამ საზოგადოების წარმომადგენლობა მთელის გუბერნიისათვის „კოლხიდას» აქვს მინდობილი.

6. ამხანაგობასვე აქვს მთელი გუბერნიისათვის წარმომადგენლობა ქართლში „სკრის“ მემამულეების ძმ. ფრიდონოვების სანერგე ხეხილებისა, რომელიც მას ყოველ წელიწადს მოსდის გასავრცელებლად. აგრეთვე იღებს ამხანაგობა დამყნილ ვაზს გასასყიდათ იმერეთში ცნობილ კერძო მევენახეების და დაწესებულებისაგან, მაგ. საქარის სანერგესაგან.

ამხანაგობის მიზანია: 1. დაეხმაროს სოფლის მწარმოებლებს, მეურნე-გლეხებს ყოველგვარ სამეურნეო, გასასყიდ ნაწარმოების, მოსავლის მოუტყუებლად გასაღებაში. ამ აზრით ამხანაგობა ყიდულობს ქუთაისში და სოფლად აგენტების საშუალებით სოფლების უმთავრეს საბაზრო ნაწარმოებს: პარკს და ბამბას, ამუშავებს ამას თავის ფარდულსა და ქარხანაში და ჰგზავნის გასასყიდად საზღვარ-გარედ და რუსეთში. 2. ამხანაგობა ეხმარება აგრეთვე სხვა ამგვარ ამხანაგობებს და კერძო პირებს თავიანთ საქონლის გასაღებაში; 3. ამხანაგობის მიზანია გაავრცელოს ხალხში სამეურნეო ცოდნა; გაავრცელოს სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო გაუმჯობესებული სამეურნეო ტეხნიკური იარაღი და ხელი შეუწყოს მეურნეებს ამ იარაღის შეძენაში; 4. ამხანაგობისავე მიზანია მისცეს მეურნეებს ან საქონლის დაგირავებით, ან ისე სესხი, ან კიდევ დაეხმაროს მათ სესხის აღებაში სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში.

ზემორე ჩამოთვლილ მიზანთა შესასრულებლად ამხანაგობამ გამართა, თავის კანტორაში „საკომისიო ბიურო“, რომლის მოქმედების საგანსაც შეადგენს ის, რომ დაეხმაროს სოფლის მეურნეებს, გლეხებს სხვა და სხვა იარაღის სახნავ სათესის, სამკალ, ვენახის სარწყავ და სხვა მანქანების შეძენა-გავრცელებაში; მიაწოდოს მათ საუკეთესო შაბიამანი, გოგირდი, საუკეთესოდ მომზადებული და შემოწმებული აბრეშუმის თესლი, ხილისა და დამყნილ ვაზის ნერგები და საბაღე თესლეულობა ცნობილ ფირმებისა. ამხანაგობა ყიდულობს ყოველგვარ ხმელ ხილეულობას—ხილს: ვაშლისა, მსხლის, ქლიავის, ბლის და სხ.; ნიგოზს, თხილს, დაფნას, თაფლს, ჯაგარს, მატყლს და სხვა მისთანებს.

ყოველივე ამისათვის ამხანაგობას ჰყავს სპეციალისტი—მცოდნე პირნი, რომელნიც ხელმძღვანელობენ საქმეებს. ამხანაგობა სცდილობს ყოველივე საქონელი, მანქანები, თესლეულობა და სხვა გამოიწეროს ცნობილ და სახელოვან ფირმებისაგან. ყოველივე ამას ამხანაგობა აწვდის სოფლელებს **ხელმისაწვდომ ფასებში**. ამხანაგობა ებრძვის ხალხის მატყუვრობას ლუკმა პურის არსებობის საქმეში.

ამ რიგად, „კოლხიდა“ სულ მეექვსე წელიწადია, რაც არსებობს და ამ ხნის განმავლობაში უფრო ხნიერ მის თანამოძმეებზე მეტ საქმიანობის უნარს იჩენს და ხალხის თანაგრძნობაც აქვს მოპოვებული. მართალია, არა ჰყავს სოფლათ იმდენი წევრი, რამდენიც სხვა ამხანაგობებს და მათ შორის „ქუთაისის გუბ. მეაბრეშუმეთა ამხანაგობას“ კუხში, რომლის წევრთა რიცხვიც ორი ათას აღემატებოდა თავის არსებობის ოქროს ხანაში; მაგრამ ამის მიზეზი ბევრნაირია და უმთავრესი-კი ის არის, რომ დღეს ჩვენებურ ამხანაგობებზე ხალხს, რომლისათვისაც უნდა არსებობდეს ასეთი ამხანაგობანი, ძალიან გატეხილი აქვს გული, უმეტესმა მათგანმა თავიანთი დანიშნულება ვერ შეასრულა.

ჩვენი ხალხის განვითარების ეკონომიურ მიზეზთა კვლევის დროს ჩვენებურ ამხანაგობათა აღორძინება-მოსპობის ისტორიაც ბევრ საგულისხმიერო მასალას მისცემს მკვლევარს მომავალში, როდესაც ამ გულდასმულ საკითხების საძიებლათ დრო დადგება და დღევანდელ მღელვარება-შიშიანობით აღარ იქნება მოცული ადამიანის სული და გული. მანამდე კი „კოლხიდა“-ს შესახებ გაზე-

---

*) დაარსებიდან გამგეობის თავმჯდომარედ არის მეურნე იოსებ ქუთათელაძე, ხოლო გამგეობის წევრებათ დღეს არიან: დირექტორი რ. დათუშიძე, კ. ოცხელი, ფ. საბაშვილი და ის. კვიცარიძე.

---

საკითხი მუშათა და ინტელიგენციის, ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ერთი მეორესთან დამოკიდებულების შესახებ არის ძლიერ რთული და მრავალ-ნიშნოვანი საკითხი, რომელიც ერთნაირად აინტერესებდა და აინტერებს საფრანგეთის პროლეტარიატს წინად და დღეს. სარევოლიუციო სინდიკალიზმის უმთავრესი მნიშვნელობა გამოიხატება სოციალისტურ პარტიის ხასიათის და როლის ნათლად გამორკვევაში.

საფრანგეთის მუშათა პროფესიონალური კავშირები დასაწყისშივე უნდობლობას უცხადებდნენ ინტელიგენციას. მოწოდებაში საფრანგეთის მუშათა მიმართ, რომელიც გამოქვეყნებულ იქმნა პირველ მუშურ კონგრესის მოწვევის თაობაზე პარიზში, ნათლად იყო ნათქვამი, რომ კონგრესზე მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, „გარდა ინტელიგენციისა“. პარიზის კონგრესი მოხდა 1876 წ., რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენელნი ყველა იმ ჟამად არსებულ მუშათა ორგანიზაციისა ორის გარდა, კონგრესზე ყველა მუშები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ორთავეს ოფიციალური მანდატები ჰქონდათ ორ მუშათა ორგანიზაციის სახელით, ისინი მაინც მოკლებულნი იყვნენ კონგრესზე ლაპარაკის უფლებას. ეს ფაქტი ცხადად მოწმობს ზევით გამოთქმულ აზრის სიმტკიცეს საფრანგეთის მუშათა უნდობლობის შესახებ ინტელიგენციის მიმართ. ფრანგ მუშების ფსიხოლოგიის ამ ჟვისებას აღნიშნავს საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ყველა გამოჩენილი ისტორიკოსი. ამ გარემოებას ჩვენც ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგანაც მას დიდი მნიშვნელობა აქვს სარევოლიუციო სინდიკალიზმის გაცნობის საქმეში.

საფრანგეთის მუშათა პროფესიონალურ კავშირების პირველი პერიოდი შეიცავს ძლიერ მოკლე ხანას—პარიზის კომუნიდან მოკიდებული 1878 წლის დამლევამდე. იმ დროის მუშათა მოძრაობას აქვს ზედმეტად მშვიდობიანი ხასიათი. ცნობილია, რომ კომმუნის დამარცხების შემდეგ ვერსალის მთავრობამ 35,000-ზე მეტი მუშა გამოასალმა სიცოცხლეს. სხვები გაგზავნეს საფრანგეთიდან. ბევრიც საპატიმროში ჩასვეს. ამგვარად, საფრანგეთი დაცარიელდა შეგნებულ და რევოლიუციონურ მუშებისაგან. ეს გარემოება, სხვასთან ერთად შეერთებული, საკმაოდ გვიხსნის, თუ რატომ განირჩეოდნენ მუშათა პროფესიონალური კავშირები თავის დასაბამში მშვიდობიან ხასიათით; მომორებული ყველაზე უფრო შეგნებულ და მებრძოლ ამხანაგებს და შეშინებული მთავრობის სასტიკ რეპრესიებისა გამო, მშრომელმა ხალხმა დაჰკარგა თავისი იმედები და დროებით ზურგი შეუბრუნა რევოლიუციონურ მოძრაობას. მიუხედავად აუტანელ რეაქციისა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა საფრანგეთის პროლეტარიატს, მაშინ მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და წინააღუდგა რეაქციონურ მთავრობას, რომელიც სდევნიდა კრების თავისუფლებას და მით უსპობდა მუშა ხალხს თავის პროგრამაზე მოლაპარაკების საშუალებას. პროლეტარიატმა ხელი მიჰყო არა-ლეგალურ კრებების გამართვას, სადაც ორატორები მხურვალე სიტყვებში ჰკიცხავდნენ მთავრობის მავნე და საზიზღარ საქციელს.

**ალექსანდრე თორაძე.**

(შემდეგი იქნება)

თის ფურცლებზე ლაპარაკით მინდა მხოლოდ საზოგადოების ყურადღება მივაპყრო იმას, რომ იგი სხვა ამგვარ ამხანაგობებზე განსაკუთრებულ პირობებში დაიბადა და მოქმედებს. იგი ამ თავიდანვე [illegible] პირთაგან შემდგომ მოქმედდება, და თუ შემდეგშიაც საზოგადოება, კერძო შემდეგში პირები, საქმის კაცები და [illegible] დაწესებულებები, როგორიც არიან ბანკები, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაა, ამგვარ სახალხო დაწესებულებებს ხელი შეუწყონ, ხელს შეუწყობენ და დაეხმარებიან,—შესაძლებელია იგი ერთი საუკეთესო, სახალხო, კულტურულ დაწესებულებად გადაიქცეს, რასაც ასე მოკლებულია ჩვენი ქვეყანა.

**ისიდორე ყვავარიძე.**

(დასასრული იქნება)

# რუსეთი

◆ **სამხედრო კავშირი.** რუსეთის გაზეთებში შემდეგი დაწვრილებითი ცნობებია სამხედრო კავშირის შესახებ. კავშირის ორგანიზაციას ყველა ადმინისტრაციამ აღმოაჩინა ციმბირის გზებზე, სამხედრო რუსეთში, კავკასიაში, პეტერბურგსა და ფინლიანდიაში. თუმცა სხვადასხვა ადგილას გაფანტული, კავშირი, როგორც სჩანს, ერთ ორგანიზაციას ექვემდებარებოდა, რასაც მოწმობს [illegible] სხვა და სხვა ადგილებში—სევასტოპოლში, სვეაბორგსა და კრონშტადტში. კავშირს ჰქონდა სამი ორგანო: „ყაზარმა“, „სოლდატი“ და „სოლდატსკაია ჟიზნ“. ამასთანავე ბეჭდავდა [illegible] სხვა და სხვაგვარ წიგნაკებს და პროკლამაციებს. პოლიციამ შემთხვევით მიაგნო კავშირის [illegible]; ჯარის ერთ ნაწილში ჩხრეკის დროს აღმოაჩინა კავშირის გაზეთი, [illegible] ჯარის უფროსის საიდუმლო მოხსენება. შემდეგ აღმოაჩინეს პეტერბურგში [illegible] ლებიდან გამოარკვიეს, რომ განყოფილებებს პეტერბურგიდან უწევენ ხელმძღვანელობას ამ ბოლო დროს პეტერბურგის ახლო-მახლო ადგილებში აღმოაჩინეს რამდენიმე საიდუმლო სტამბა, წერილები, რომლებიდან გამოარკვიეს პროვინციებში კავშირის განყოფილებათა ვითარება და მეთაურები და დაატუსაღეს. დღემდე დატუსაღებულია უკვე კავშირის 60 წევრი, რომელთა უმრავლესობა—ახალ-გაზდა მოსწავლეები არიან. პოლიციამ კავშირის მოწინავე მეთაურები ჯერ-ჯერობით ვერ ჩაიგდო ხელში. პეტერბურგში დაიჭირეს კავშირის თითქმის ყველა წევრი, რომელთა შორის რამდენიმე კაცი—სასახლეში მოსამსახურენი არიან. პოლიციამ დიდ-ძალი მასალა ჩაიგდო ხელში.

◆ **ბენდერის პოლკის ოფიცერთა განცხადება.** გაზ. „რუსკ. ვედ.“-ში ბენდერის პოლკის აფიცერთა შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი. „15 აპრილს პოლკის აფიცრებმა განიხილეს სათათბიროს დეპუტატის წერეთლის განცხადება ლანჩხუთში ხსენებული პოლკის ერთი რაზმის უკანონო მოქმედების შესახებ, პოდპოლკოვნიკ პრიხოდსკის მეთაურობით, მოისმინეს პრიხოდსკის მიერ განმარტება თავისი მოქმედებისა, გამოარკვიეს, რომ ბ. წერეთლის განცხადება სრულებით არ ეთანხმება სინამდვილეს და დაადგინეს შემდეგი: იშუამდგომლონ ჯარის უფროსთან, რათა სასტიკი გამოძიება დაინიშნოს ლანჩხუთში რაზმის მოქმედების შესახებ და ამ ნაირად შეძლება მიეცეს ბენდერის პოლკის აფიცერთა საზოგადოებას ბ. წერეთელი პასუხის გებაში მისცეს.

◆ **საგანგებო სხდომა.** „რუსკ. სლ.“-ს დეპეშით აცნობებენ პეტერბურგიდან, რომ ცარსკოე სელოში, ხელმწიფის სასახლეში, მოხდება საგანგებო კრება მთა-

ვოლიუციონერების დატუსაღებითა და სარევოლიუციო მოძრაობაში სათათბიროს მემარცხენე დეპუტატების მონაწილეობით.

◆ **გენერალი დუმბაძე.** სიმფეროპოლში ჩამოვიდა იალტიდან გენერალ დუმბაძის მიერ განდევნილი ახალი ჯგუფი. დუმბაძის განკარგულებით დაიხურა იალტაში გაზეთი „კრიმსკი კურიერ“ და არსდება ახალი გაზითი „ტავრიდა“, რომელშიაც თვით გენერალი დუმბაძე მიიღებს მონაწილეობას.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება.** გუბერნატორებს მიენიჭა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან უფლება დროებით გაანთავისუფლონ სატუსაღოდან გლეხები, რომელნიც სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის გამო არიან დატუსაღებულნი. მოსავლის აღებისა და სასოფლო მუშაობის დასრულების შემდეგ დროებით განთავისუფლებული გლეხები ისევ უნდა დაბრუნდნენ სატუსაღოში.

◆ **ლექცია დუხაბორების შესახებ** ი. მ. ტრეგუბოვმა წაიკითხა პეტერბურგში საჯარო ლექცია დუხაბორების შესახებ, რომელთაც კავკასიაში ბევრი ტანჯვაწვალება გამოიარეს ადმინისტრაციისაგან სალდათად გასვლის უარყოფისათვის. ტრეგუბოვმა განმარტა მათი მწარე თავგადასავალი, მათი ძალად აყრა და ტფილისის გუბერნიაში გაფანტვა. ლექტორმა მოუთხრო მსმენელთ დუხაბორების გადასახლება კანადაში, (სულ შვიდი ათასი სული გადასახლდა) იქ ახალშენების გამართვა კერძო საკუთრების უარყოფით. სახლებისა და ბოსტნების გარდა დუხაბორებს ყველა დანარჩენი ქონება საერთოდა აქვთ: ერთად ხნავენ, სთესენ და თანასწორად ჰყოფენ ერთმანეთის შორის მთელ მოსავალს.

# დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 მაისი

**ვაშინგტონი.** იაპონიის ვაშინგტონელმა ელჩმა აოკიმ აცნობა შეერთებულ შტატების მთავრობას, რომ ახლახან იაპონელ რესტორატორებს ს.-ფრანცისკოში ცუდად მოეპყრნენ. იუსტიციის დეპარტამენტმა განკარგულება მოახდინა, საქმე გამოიძიონ და შედეგი დეპეშით აცნობონ.

**ნიუ-იორკი.** ტოკიოდან დეპეშით იუწყებიან, რომ იაპონიის ფრანცისკოელ ელჩისაგან მოსული მოხსენება ამტკიცებს იაპონელ რესტორატორების წინააღმდეგ გალაშქრების ამბავსაც. იაპონიაში ამ ამბავმა საზოგადოება მეტად ააღელვა. ს.-ფრანცისკოში ბრბოს რამდენიმე იაპონიელის რესტორანი და აბანო აუკლია. ერთ იაპონელის რესტორანიდან კიდევ ორი ამერიკელი გაუძევებიათ.

**პროსკუროვი.** სოფ. ივაშკოვეცში ისეთი კოკისპირული წვიმა მოვიდა, რომ მთელი სოფელი წყალმა დაფარა. ხალხი სახლის სახურავებზე ავიდა. ნათესი სულ ერთიანად გაფუჭდა.

**მიშკინი.** ვასილკოვის ვოლოსტში დაიწყო აგრარული მოძრაობა. მაქსიმოვიჩის მამულში დასწვეს სარაია, სადაც სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი ელაგა. მოელიან გუბერნიის სამმართველოს წევრს, ისპრავნიკს სტრაჟნიკებითურთ და გამომძიებელს.

**კოზლოვი.** ქალაქის მახლობლად ტყეში მუშებმა მიტინგი გამართეს. პოლიციამ ალყა შემოარტყა და 17 კაცი საპატიმროში გამგზავნა. მუშების დაპატიმრების დროს სროლა ასტყდა. არავინ არ დაშავებულა.

**ლოძი.** შეიპყრეს პოზნანსკის ფაბრიკის ინჟენერის როზენტულის ორი მკვლელი. დაპატიმრებულნი ეკუთვნიან იმ 98 მუშათა რიცხვს, რომელნიც ფაბრიკიდან დაითხოვეს.

სოფ. სლოვიკში ლოძის მახლობლად მეახალშენე ჩაპლინსკის სახლში შეუვარდნენ ნიღაბ აფარებული და შეიარაღებული კაცები. წაართვეს 9000 მანეთი და მიიმალნენ.

**ზახმუტი.** კონსტანტინოვკაში დააპატიმრეს ორი ჭაბუკი. იმათ უპოვნეს ბრაუნინგები, პატრონები, არალეგალური ლიტერატურა და მიწერ-მოწერა. დაპატიმრებულნი ხარკოვში გაისტუმრეს.

**ლიდიჩევი.** სოფ. სვეჩნუში დაიწყო აგრარული მოძრაობა მამამულის გდოვსკის მოურავსა და ლაქიას გლეხებმა სცემეს. მოურავს მიეშველა სოფლის დარაჯი, მაგრამ იგი იძულებული გახდა სახლში მიმალულიყო და იქიდან სროლა ატეხა.

**ლუგანსკი.** 13 მაისს ღამე მომკვლელ თეატრიდან მის მიმავალი რეხის ხალხის [illegible]

კავშირის წევრი გოლუბი. გოლუბი ეხლახან გარტმანის ქარხანაში შევიდა მუშად. მკვლელი მიიმალა.

**ტაშკენტი.** თეატრიდან გამოსვლის დროს მოჰკლეს ბოქაული ავგუსტოვსკი და დასჭრეს სამი გარეშე პირი. მსროლელნი მიიმალნენ.

**ლოძი.** პოზნანსკის მონუფაკტურის სამმართველომ დაადგინა, ქარხნის დირექტორის როზენტალის ქვრივს ერთ დროულ შემწეობად მისცეს 25,000 მანეთისა.

**კერჩი.** ბოქაულის თანაშემწეს როსკოშნის ექვსჯერ ესროლეს, ტყვიამ გახვრიტა შინელი და ხმლის ქარქაში. ბოქაული უვნებლად გადარჩა. როცა გამოედევნენ უცნობებმა რამდენჯერმე კიდევ ისროლეს.

**კიევი.** კოროსტიშევის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეებმა სასწავლებლის საბჭოს მოთხოვნილებანი წარუდგინეს. მოსწავლენი თხოულობდნენ პირველ და მეორე კლასში გამოსაცდელ ეკზამენების გაუქმებას. როცა უარი მიიღეს, ავიდნენ სხვენზე, ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლი დროით ჩააქრეს.

**ვაშინგტონი.** სტატს-სეკრეტარს რუტმა კალიფორნიის გუბერნატორს მისწერა, იაპონელებს მფარველობა გაუწიოს და პირნათლად აღასრულოს ამერიკა-იაპონიის შორის ახლახან დადებული ხელშეკრულება.

**კარლსრუე.** 13 მაისს გაიმართა მეღვინეების დიდი დემონსტრაცია, რომელმაც ხალხში ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

**კიევი.** სოფ. ვოლოსენში 300 კაცისაგან შემდგარმა ბრბომ ერთი ქურდი დაიჭირა და მოჰკლა. სოფ. გრეჩკოვკაში დაიწვა 20 გლეხის სახლ-კარი. ცეცხლმა 80 წლის მოხუცი დედაკაცი იმსხვერპლა.

**ბუდაპეშტი.** სოფ. რუდოლფსში მდ. დუნაის პირად წყალმა დამბა გახეთქა. სოფელი წყლით დაიფარა. ჯერ-ჯერობით 260 სახლია დაქცეული. ხალხის საშველად ჯარი გაგზავნეს.

**ლოძი** ვულჩანის ქუჩაზე ორის ტყვიით მოჰკლეს ახალგაზდა მუშა ქალი.

**რიგა.** 14 მაისს, დილის 10 საათზე, 5 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა რიგაორლოვის რკინის გზის სამსახურო ვაგონს, რომლითაც მოსამსახურეთათვის დასარიგებელი ფული მოჰქონდათ. მოჰკლეს კონტორშჩიკი, მემანქანეს თანაშემწე და კონდუქტორი. მძიმედ დასჭრეს მეართელე. მოიტაცეს წვრილი ფულებით სავსე პარი. მსხვილი ფული შეუმჩნეველი დარჩათ.

**თეირანი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა მეჯლისს, რომ ლურისტანში წესრიგის აღსადგენად რაზმი გავგზავნეთო. პარლამენტის ერთმა წევრმა სთქვა, შირაზში არეულობა თვით მთავრობის მიერ არის გამოწვეული. რაზიმ-ხანის კარგად მოწყობილი ცხენოსანი ჯარი სოფლებს შეერია. მარტო თავრიზში 250 კაცია მოკლულიო. პარლამენტმა დეპუტაცია გაუგზავნა შაჰს და ათაბეგ-აზამს და სთხოვა რომ მიიღოს მხნე ზომები. მთავრობამ უპასუხა პარლამენტს, რომ ოფიციალურად

რაზიმ-ხანის თარეშის შესახებ ჯერ არაფერი მოგვსვლია და თუ მართალი გამოდგა დამნაშავეებს დავსჯითო. მეჯლისი პასუხი არ დაკმაყოფილდა და ის აზრი გამოთქვა, რომ შაჰი ხელს უწყობს და თითონ იწვევს არეულობასაო. ბრბომ შაჰის წინააღმდეგ დემონსტრაცია გამართა. წარმოითქვა მწარე სიტყვები. სპარსეთის და ინგლისის მთავრობამ ზომები მიიღეს, რომ ავღანისტანსა და ბელუჯისტანში ზღვით იარაღი არ შეიტანონ.

**ვაშინგტონი.** ტუხარის ჩრდილოეთით ძლიერმა ქარმა (სმერჩი) დიდი ზიანი მიაყენა მცხოვრებთ. 11 კაცი მოკვდა, 60 დაშავდა.

**თეირანი.** სხვა და სხვა მხრიდან ცნობები მოდის, რომ შაჰის ძმა, ლურისტანის მმართველი, ქურთებს ათასობით აგროვებს და ახალ სისტემის თოფებს ურიგებს; სურს ხამადანი დაიპყრას და თავის თავი შაჰად გამოაცხადოს. მეჯლისის შეკითხვაზე მთავრობამ განაცხადა, ზომებს ვიღებო. სხდომას რევოლიუციონური ხასიათი ჰქონდა და შუა ღამემდის გაგრძელდა. მეჯლისის შენობას აუარებელი ხალხი ეხვია.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის**

## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, 21 მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელიც იჯარით გაიცემა: 1). ქალაქის მიწის ნაჭერი მე-10 ნაწილში, ნიკოლოზის მოედანზე—შეშის და ხე-ტყის საწყობი; 2) ქალაქის რიყე მერვე ნაწილში, სათევზე მოედნის პირდაპირ.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან გასინჯოს პირობები ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10 დან 2 საათამდე. (3—6.—2)



1—2 მან. აილებს მსურველი დღეში.

## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: **Тифлисъ, Верійскій спускъ, д. 15, и 5.** (100—71—10)

ტფილისის კბილის საექიმო

## სკოლა ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი 2½ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—2)

ა. და გ. გრძელიძეებს და კ. კოპლატაძეს.

ვიწვევ სამედიატორო სამართალში ვაჭრულ ანგარიშის გასასწორებლად სადგურ ნოვორაშენის ბუფეტის პატრონს ასლან გრძელიძეს და გერმანე გრძელიძეს. მასთან ვიწვევ კიდევ სამედიატორო სამართალში ანგარიშების გასასწორებლად კირილე ბაგრატის ძე კოპლატაძეს. ვასახელებ მედიატორეებს ჩემის მხრით შალვა ცინცაძეს, ლადო აბდუშელიშვილს და გრიგოლ მახარაძეს.

(1—97—1) **ერმილე კოპლატაძე.**

საგარეჯო-თხინვალის საავარაკო ში საბურთალოს ახლოს ვერაზედ

## იყიდება მიწები

25, 40, 60 და 80 კაპ. თითო ოთხკუთხი საჟენი ერთი წლის გადახდის ვადით ნაწილ-ნაწილად. მიწები იყიდება კიდევაც ნაჭრებად და ჩქარა გათავდება. ხელის მომწერთა სიის შესრულებისა და ბეების შემოტანისათანავე მოხდება კენჭის ყრა და ყველას ჩაბარდება თავის ხვედრი მამული. მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი № 153 დ. მაჭავარიანს და ნ. გელოვანს 9—2 საათამდე და 5—7 საათამდე. (15—92—2)

**ახალი წიგნი**

„ჭეშმარიტი სოციალისტი და ჩვენებური სოციალდემოკრატია“

ტ. ართმელაძისა, ფასი 10 კაპ.

იყიდება ამავე ავტორის შემდეგი წიგნები:

„სადღეისო საუბარი სოფლელ მკითხველებს“ . . . . . . . 20 კ.

„მეთაურთა უმეტესობის უთაურობა და ჩვენებურ მებრძოლ ხალხის პირველი დამარცხება“ . . . . . 10 კ.

„ბრძოლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში შეპარულ ნაკლულევანებასთან“ . . . . . . . 35 კ.

„წერილი სოფლელ მუშას“ . . . 5 კ.

„სადღეისო წერილი ქართველ სოფლელებს. . . . . . . . . 5 კ.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძეს. (7—72—7)


# ანგარიშთა მდგომარეობა

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

**1 მაისს 1907 წელს.**

აქტივი (აქვს).

| | | | |
|---|---|---|---|
| I. კასსა, ნაღდი ფული. . . . . | | 6033 | 89 |
| II. სახელდახელო ანგარიში ქუთ. გან. აზ. დ. კ ბანკში. . . . . | | 2797 | 53 |
| III. სარგებლ. ქაღალ. . . . . . | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ. | 300,— | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. „ | 702,50 | 1002 | 50 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით . | | 43112 | 50 |
| V. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და სხვა . . . . . . | | 4506 | 19 |
| VI. პროტ წასული თამასუქ. (უზრუნ. ყოფ. თანხ იხ. გ. პას.) . . . | | 4674 | 66 |
| VII. სესხი გაც. გირავ. . . . . | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრ. ყოფ. სარგ. . . . . . . . . „ | 160,— | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრ. ყოფ. მთავ. მიერ. . . . „ | 11481,53 | | |
| გ) შავ. ქვაზ. . . . . „ | 25557,72 | 38199 | 25 |
| დ) საქონელზედა . . „ | 1000,— | | |
| VIII. კორესპონდენტ. . . . . | | | |
| ა) იმათ. ანგარ. . . . მ | 3286,46 | | |
| ბ) ს.ზოგ. „ . . . . „ | 262,92 | 3549 | 38 |
| IX. გერბ. ქაღ. და თამ. . . . . | | 173 | 80 |
| X. გარდამავ. თანხა. . . . . . | | 6455 | 36 |
| XI. მოწყობა-გამართვა საზოგად. . | | 1922 | 83 |
| XII. მოვალ. საზოგ. . . . . . | | 410 | 28 |
| XIII. ხარჯი დასაბრ. . . . . . | | 168 | 14 |
| XIV. ზარალი 1905 წ. . . . . | | 301 | 91 |
| XV. მიმდინარე ხარჯი . . . . . | | 2705 | 12 |
| **ბალანსი.** | | **116013** | **34** |

(მართებს) პ ასივი.

| | | | |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რაიცა შესდგება 10% შემ. საწ. ფულით 203 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე. . . . . . . . | | 19550 | — |
| II. დასაბრ საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. . | | 208 | 29 |
| III. თანხა: . . . . . . . | | | |
| ა) სათადარიგო . . . . . მ. | 752,40 | | |
| ბ) ამორტიზაც. . . . . „ | 769,53 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქის უზრ. საყ, შემდგ. 1906 წ. მოგებიდ. . . . . . „ | 5119,23 | 6941 | 16 |
| IV. შემოტ. ფული: . . . . . | | | |
| ა) სახელდ. ანგ. . . . მ. | 39728,36 | | |
| ბ) ვადით . . . . . „ | 17998,31 | | |
| გ) უვადოთ . . . . . „ | 700,— | 58426 | 67 |
| V. განაღდ. თამას. საზოგ. მიერ ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკში. . . . | | 5440 | — |
| VI. საგანგებო სახელ. ანგარ. უზრუნველ ყოფილი სარგებ. ქაღალდ. . . | | 334 | 96 |
| VII. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით . . . . . . | | 10000 | — |
| VIII. კორესპონდენტ. . . . . . | | | |
| ა) იმათის ანგ. (Loro). . „ | 5502,15 | | |
| ბ) საზგ. ანგარ. (Nostro) . „ | 2890,13 | 7392 | 28 |
| IX. გადასაგზ. შემოტ. ფული. . . | | 400 | — |
| X. გარდამავ. თანხა. . . . . . | | 3301 | 36 |
| XI. სარგებელი გარდ. . . . . . | | 189 | 59 |
| XII. 5% სახელ. გარ. . . . . . | | — | — |
| XIII. წმინდა მოგება. 1906 წ. . . | | — | — |
| XIV. შემოსული სარგებელი, გამოკლებით გასულისა . . . . . . | | 4129 | 03 |
| **ბალანსი.** | | **116013** | **34** |

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. კ. გ. აბაშიძე.**
ბუჰგალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**

დირექტორები: თ. ვ. ჯაყელი. ა. ზ. გალუსტოვი

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.